„მაესტროს“ გადარჩენა პრინციპული საკითხია“

ლადო პაპავას თქმით, არჩევნების შემდეგ ინფლაციაა მოსალოდნელი

გაზეთი “რეზონანსი” – 17 აპრილი, № 103, 2008

რამდენად სამართლიანად ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები, რას გამოიწვევს ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნოდ სხვადახსვა სოციალური პროგრამების ამოქმედება და რისთვის ისესხა საქართველოს მთავრობამ 500 მილიონი დოლარი - ამ და სხვა თემებზე „რეზონანსი“ პარლამენტის დამოუკიდებელ დეპუტატ ლადო პაპავას ესაუბრა.

„რეზონანსი“: თქვენ არაერთხელ დააფიქსირეთ, რომ არჩევნებში არ აპირებთ მონაწილეობას. ხომ არ შეიცვალა თქვენი პოზიცია?

ლადო პაპავა: მე როდესაც გადაწყვეტილებას ვიღებ, მას წინ უძღვის საკმაოდ სერიოზული დაფიქრება და განსჯა. მივიღე გადაწყვეტილება, რომ ამ ეტაპზე პოლიტიკაში არ დავრჩენილიყავი და ეს ჩემი ნაბიჯი არანაირ რევიზიას არ ექვემდებარება. მე კარგი ურთიერთობა მაქვს არა ერთ ოპოზიციურ პარტიასთან, რასაც დიდად ვაფასებ. ვთვლი, რომ ჩემი კრიტიკული გამოსვლები „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება ქვეყანას, თუკი ამ მოძრაობის ლიდერები დამიჯერებენ, თუმცა ამას სასიკეთო პირი არ უჩანს.

„რ“: იანვარში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს თან სდევდა არაერთი სოციალური პროგრამის განხორციელება. როგორ ფიქრობთ, გაგრძელდება მსგავსი ქმედება საპარლამენტო არჩევნების პერიოდშიც?

ლ.პ: რა თქმა უნდა. საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში მოსახლეობას დაურიგდა გაზის, ელექტროენერგიის და შეშის ვაუჩერები, ფქვილი უფასოდ, დაიწყო ფსევდო-დასაქმების პროგრამის მეორე ეტაპი, გაიზარდა პენსიები.

საპარლამენტო არჩევნების წინ კი მთავრობა სოფლად დიზელს საწვავის ვაუჩერებს არიგებს, ისევ აგრძელებს ფსევდო-დასაქმების პროგრამას, ზრდის პენსიებს. რა თქმა უნდა, შეჭირვებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სახის სოციალური დახმარების გამოყოფას მნიშვნელოვანი როლი აქვს, ამიტომ ზნეობრივად გაუმართლებელია ამ დახმარების გაცემის წინააღმდეგი იყო. იმავდროულად კი ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს დახმარება ზრდის სამომხმარებლო ბაზარზე ფულის მიწოდებას ისე, რომ ამას თან არ სდევს ეკონომიკის ადეკვატური ზრდა. შედეგად კი გვაქვს ინფლაცია.

„რ“: თქვენი მსჯელობიდან გამომდინარე, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი კიდევ უფრო დაქვეითდება?

ლ.პ: სამწუხაროდ ეს მართლაც ასე იქნება და თითოეული ჩვენთაგანი ერთი ლარით უფრო ნაკლებს გასწვდება, ვიდრე ამას არჩევნებამდე ახერხებდა.

„რ“: მთავრობა თავს იწონებს იმით, რომ ევროობლიგაციები გამოუშვა. ბოლო მონაცემებით ქვეყნის საგარეო ვალი კი 500 მილიონი დოლარით გაიზარდა. როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?

ლ.პ: თითოეული ჩვენთაგანი, როდესაც გადაწყვეტილებას ვიღებთ, რომ ფული ვისესხოთ, ამ დროს გააზრებული უნდა გვქონდეს, თუ რაში გვჭირდება ეს ფული. ასე იქცევა არა მარტო რიგითი ადამიანი, არამედ ნებისმიერი ფირმა და რა თქმა უნდა სახელმწიფოც. პირველი, რაც ჩვენს მთავრობას უნდა ეთქვა, გახლავთ ის, რომ მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა საკუთარი პოზიცია, თუ რისთვის სჭირდება ეს 500 მილიონი დოლარი. აი, აქ არის ყველაზე დიდი გაუგებრობა: პრემიერ-მინიტრმა ტელეეთერით გვამცნო, რომ ეს ფული საჭიროა ენერგეტიკული ობიექტების ასაშენებლად, ხოლო ფინანსთა მინიტრმა, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინ ენერგეტიკის მინისტრი იყო, პარლამენტის

ტრიბუნიდან პრაქტიკულად უარყო პრემიერ-მინისტრის ხსენებული განცხადება და თქვა, რომ ეს ფული მომავალი თაობების ფონდში წავაო. ბოლოს და ბოლოს ვინ ამბობს სიმართლეს და ვინ იტყუება: პრემიერ მინიტრი თუ მისი ფინანსთა, ყოფილი ენერგეტიკის მინისტრი?

კონსტიტუციით მთავრობა ერთი გუნდია, ამას ჩვეული სიამაყით იმეორებს მთავრობაც და თუ ეს მართლაც ასეა, როგორ მოხდა, რომ პრემიერ-მინიტრმა და ფინანსთა მინიტრმა ერთმანეთში ვერ მოილაპარაკეს საჯაროდ რა უნდა ეთქვათ?

„რ“: თქვენი ნათქვამიდან გამოდის, რომ მთავრობაში სულაც არ არის თანხმობა.

ლ.პ: ვფიქრობ, აქ არა იმდენად თანხმობის, რამდენადაც უპასუხისმგებლობის პრობლემაა. ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების პირობებში, როცა პრემიერ-მინისტრი და ფინანსთა მინისტრი ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ, პარლამენტი მთავრობის ნდობის საკითხს დააყენებდა.

„რ“: მთავრობის საკითხი ალბათ არჩევნების შემდეგ დაისმება, ასე რომ, თქვენი ნათქვამი შეიძლება რეალურად გადაიზარდოს მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხში. მანამ კი როგორ ფიქრობთ რამდენად დემოკრატიულად ტარდება წინასაარჩევნო პროცესი?

ლ.პ: ჩემთვის ნამდვილად მძიმე ის რის, თუ რას უკეთებენ ერთ პატარა, მაგრამ თამამ ტელესტუდია „მაესტროს“. მიკვირს, რატომ სდუმან აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოთა საელჩოები. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა თხოვნით მივმართო საქართველოს ყველა მეგობარ სახელმწიფოს და მათ წარმოლმდგენლობებს თბილისში, რომ უფრო აქტიურად ჩაერთონ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში და გვერდზე დაუდგნენ დემოკრატიასა და სიტყვის თავისუფლებას.

„მაესტროს“ გადარჩენა პრინციპული საკითხია და დასავლეთის მხრიდან დუმილი ჩვენს მოსახლეობაში გულგატეხილობას იწვევს. აღფრთოვანებული ვარ „მაესტროს“ ჟურნალისტების გონებამახვილობით, როდესაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემას ატარებენ, თუმცა ეთერში ისმის „გეკაჩეპეს“ დროინდელი მლოდიები. ასვე დასაფასებელია რესპოდენტების მიერ ამ ფორმატში ეთერში გამოსვლა.

ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ქალბატონმა ინგა გრიგოლიამ, რომლის ჟესტიკულაციების და ემოციური საუბრის ფონზე მისი ხმა მარეგულირებელი კომისიის ლიცენზირებულმა მუსიკამ ჩაახშო.

ია აბულაშვილი